

როგორ გავზარდოთ საბაზო საფეხურის მოსწავლეთა
ინტერკულტურული კომპეტენციები ისტორიის გაკვეთილზე

თამუნა მაჭარაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის
საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის /საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი
(საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებელი) მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის
/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის (საზოგადოებრივი მეცნიერებების
მასწავლებელი) სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაღაზონია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ იგი წარმოადგენს ორიგინალურ ვერსიას და მასში გამოყენებული და ციტირებული სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებული მასალა დაცულია სათანადო წესების შესაბამისად.

თამუნა მაჭარაშვილი

27.06.2016 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ქ. თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევის მიზანს წარმოადგენდა, კლასიკური გიმნაზიის საბაზო საფეხურის (IX³ კლასი) მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციების გაზრდა ისტორიის გაკვეთილზე.

კვლევაში ჩართული იყო ისტორიის ერთი მასწავლებელი. პედაგოგთან კონსულტაციის შემდეგ სამიზნე ჯგუფად შეირჩა IX³ კლასი, რადგან IX კლასში მოსწავლეები გადიან საქართველოს ისტორიას. ჩვენი ინტერესის სფერო იყო დაგვედგინა, რამდენად უვითარებს მოსწავლეებს ინტერკულტურულ კომპეტენციებს საგანი, სადაც რთულია კონსტრუქციული, პოზიტიური დამოკიდებულების შენარჩუნება დამპყრობელი კულტურების მიმართ და სადაც მეტია ისტორიული მოვლენების სუბიექტურად შეფასების საფრთხე.

ჩამოვყალიბეთ კვლევის მიზანი, რომელიც ითვალისწინებდა საბაზო საფეხურის (IX კლასი) მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციების გაზრდის ხელშეწყობას ისტორიის გაკვეთილზე. კვლევის მიზნიდან გამომდინარე გამოიკვეთა საკვლევი კითხვები:

- ❖ როგორია მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციების დონე;
- ❖ რა ფაქტორები უშლის ხელს მოსწავლეებში ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას;
- ❖ რა მიდგომები გამოვიყენოთ ისტორიის გაკვეთილზე მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციების გაზრდისთვის.

ჩამოვყალიბეთ კვლევის ჰიპოთეზა და ვიგულისხმეთ, რომ ისტორიის გაკვეთილზე საკლასო და კლასგარეშე გარემოში ინტერკულტურული განათლების მრავალფეროვანი რესურსებისა და სტრატეგიების გამოყენებით გაიზრდება მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენცია - ცოდნა, უნარი, დამოკიდებულება.

კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეთა ინტერკულტურული ცოდნა ზერელეა. გარკვეული კულტურების მიმართ აქვთ ნეგატიური და სტერეოტიპული დამოკიდებულება. გრძნობენ უპირატესობას საქართველოში მცხოვრებ სხვა

კულტურულ ჯგუფებთან შედარებით და ნაკლებად ინფორმირებულები არიან მათ შესახებ, განიცდიან განსხვავებულ კულტურულ ჯგუფებთან ურთიერთობის დეფიციტს. სასკოლო განათლებას და მათ შორის ისტორიის გაკვეთილს, მოსწავლეთა ინტერკულტურულ განათლებაში უმნიშვნელო როლი აქვს. იშვიათად გამოიყენება საკლასო და კლასგარეშე ღონისძიებები ინტერკულტურული განათლების კუთხით.

კვლევის პროცესში გაკეთდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს ანალიზი, რათა დაგვედგინა რამდენად უწყობს ხელს სახელმძღვანელო ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ისტორიის სახელმძღვანელო მოსწავლეებს გარკვეული კულტურების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას უჩენს. უყალიბებს სტერეოტიპულ აზროვნებას, რადგან საკითხის სხვადასხვა კუთხით შეფასების საშუალებას სახელმძღვანელოს ტექსტი ნაკლებად იძლევა.

კვლევამ დაადგინა, რომ მოსწავლეთა ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებაში ხელისშემშლელი ფაქტორია მასწავლებელთა განათლება და მათი მწირი გამოცდილება ინტერკულტურული განათლების კუთხით. შესაბამისად, იშვიათად და ერთფეროვანი მეთოდებით ხდება ზრუნვა მოსწავლეების ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებაზე.

კვლევაში აღწერილია ის მიდგომები, რომლებიც გამოვიყენეთ არსებული პრობლემის გადასაჭრელად. კვლევამ დაადგინა, რომ გამოყენებული საკლასო და კლასგარეშე აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეებში ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას. პრობლემის კვლევისა და განხორციელებული ინტერვენციების ანალიზზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება ისტორიის მასწავლებლებს და სკოლას ინტერკულტურული განათლების დანერგვასა და მოსწავლეების მრავალფეროვან საზოგადოებაში ცხოვრებისთვის მომზადებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ინტერკულტურული, კომპეტენცია, მასწავლებელი, მოსწავლე, ისტორიის გაკვეთილი.

ABSTRACT

The present work represents a report of practical research that was carried out in LEPL Tbilisi classic gymnasium. The goal of the research was to increase intercultural competencies of pupils of the classic gymnasium of the basic step (IX³ grade) during a history lesson.

There was involved one history teacher in this research. After consulting with a pedagogue, IX³ grade was selected as a target group, since pupils in this grade learn history of Georgia. Our sphere of interest was to determine to what extent the subject develops intercultural competencies of pupils, where it is difficult to maintain a constructive, positive relationship with conquering cultures and where there is a big threat to evaluate historical events subjectively.

We established a goal of the research, that considered to help increase the intercultural competencies of pupils of the basic step (IX³ grade) during a history lesson. According to the goal of the research, there are the following questions to be researched:

- ❖ What is the level of the intercultural competencies of pupils?
- ❖ What are the factors that hinder a development of the intercultural competencies in pupils?
- ❖ What approaches should we use during a history lesson to increase the intercultural competencies of pupils?

We have formulated a hypothesis of the research and we have implied, that using of various resources and strategies of the intercultural education in extra-curricular and class environment during a history lesson can increase the intercultural competency _ knowledge, skill, attitude.

This research has shown that the intercultural knowledge of pupils is superficial. They have a negative and stereotypical attitude towards certain cultures. They feel superiority over other cultural groups living in Georgia and they are less informed about them, they lack for a relationship with different cultural groups. School education and history lesson among them have an insignificant role in the intercultural education of pupils. Class and extra-curricular activities are rarely used with regard to the intercultural education.

Analysis of the history manual of Georgia was made in the process of research to find out how much the manual assists the development of the intercultural competencies. The result of analysis showed that the history manual produces a negative attitude towards certain cultures in pupils. It establishes stereotypical mindset as text of the manual gives less opportunity to evaluate the issue from different points of view.

Research has found out that the hindering factors in development of the intercultural competencies are education and little experience of teachers with regard to the intercultural education. Accordingly, development of the intercultural competencies of pupils is encouraged rarely and it happens with monotonous methods.

In the research there are described the approaches, that we have used to solve the current problem. Research has found out that used class and extra-curricular activities assist the development of the intercultural competencies in pupils. Recommendations were worked out based on the analysis of the research of a problem and made interventions. Taking these recommendations into consideration will help the history teachers and school to inculcate the intercultural education and prepare pupils for living in the various society.

The main search words: intercultural, competency, teacher, pupil, history lesson.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ბატონ, დავით მაღაზონიას, ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისა და თანადგომისთვის.

მადლობას ვუხდით პირველი კლასიკური გიმნაზიის პრაქტიკის კვლევაში ჩართულ მასწავლებელს, ქალბატონ, მაია ოდოსაშვილს და IX³ კლასის მოსწავლეებს.

მადლობას ვუხდით არასამთავრობო ორგანიზაციის „უმცირესობების საკითხთა ევროპული ცენტრი - კავკასია“ პროექტების კოორდინატორს გიორგი ბობლიაშვილს მეორე ინტერვენციის ფარგლებში გაწეული დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბავშვთა ოთახის თანამშრომლებს, ლიტერატორ ოქტაი კაზუმოვს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს ნარმინა გუსეინოვას და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტს ელვინ ტაჯიევს მესამე ინტერვენციის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილეობისა და გაწეული დახმარებისთვის.

მადლიერებას გამოვხატავ 98-ე სკოლის ადმინისტრაციისა და მოსწავლეების მიმართ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში დაგეგმილ პროექტში დახმარებისა და მონაწილეობისთვის.

მადლობას ვუხდით ელზა ფაცურიას არასამთავრობო ორგანიზაციის „ჰელფინგ ჰენდის“ პროექტების კოორდინატორს მეხუთე ინტერვენციის განხორციელებაში გაწეული დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდით კავკასიის უნივერსიტეტის მაგისტრს ქამრან მამედოვს საინტერესო და სასარგებლო რჩევებისთვის.